



საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

1970 წ. № 35 (4029) თბილისი, სოთხაბათი. შპს 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

მ რ თ ი თ ა ს ი ნ მ ს ტ უ ლ ი ტ ნ ე მ ე მ ა ი ლ ნ ი !

ბაქო, 18 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სმლით მოფარაკავთა ასპარეზობამ ისე მოხიბლა ბაქოელი მაყურებლები, რომ შეჯიბრების მეორე დღეს სპორტის სასახლეში ტევა არ იყო მართლაც ვ. ნაზიმოვისა და ვ. სიდაკის ბრძოლა როგორც სანასაბრძოლოდ, ისე სპორტული თვალსაზრისით, შედმიწვევით საინტერესო გამოდგა. შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს საფარაკაო ბილიეზე სპორტერები ხვდებოდნენ ერთმანეთს. გრძელად იმდენად სწრაფ ტემპში მიმდინარეობდა, რომ მსაჯებს, ჩველგის დანახვაც კი უჭირდათ.

არანაკლებ საინტერესო იყო რაპირისტ ქალთა შეჯიბრებაც. საქართველოში ითქვას, რომ სარბიულზე გამოვიდა სხვადასხვა წლების ექვსი-მთხლით ჩემპიონი. თუ ეს ცნობილი სპორტსმენები წინა წლებში შედარებით იოლად იმარჯვებდნენ, ამჟერად ახალგაზრდებმა საკმაო წინააღმდეგობა გაუწიეს ფავორიტებს. ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ ფინალში გავიდა ორი თითქმის ახალბედა სპორტსმენი. ერთმა მათგანმა — ლ. ნიკონოვამ III საპრიზო ადგილიც კი დაისაკუთრა. ეს მაშინ, როცა ფინალამდე ვერ მიადგო მსოფლიოს მრავალჯერ ჩემპიონმა ვ. რასტვოროვამ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ს. ჩირკოვამ, მსოფლიო ექს-ჩემპიონმა იუბიორთა შორის ა. კოროლიოვამ და სხვა სახელგანთქულმა სპორტსმენებმა.

ცნობილია, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე ქალთა შეჯიბრებებში ტოლი არ ჰყავს ვ. ნიკონოვას. მან ამ ხნის მანძილზე თითქმის ყველა მასშტაბის შეჯიბრება მოიგო. აი, ამ შესანიშნავი სპორტსმენის გამარჯვებთა არასრული ნუსხა: მენიკოს ოლიმპიური თამაშების ოქროს 2 მედალი, ევროპის თასი, შარმანდელი საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედალი და ბოლოს — გამარჯვება ჰავანის მსოფლიო ჩემპიონატში. მაგრამ ჯილდოების სრული კომპლექტისთვის ელენეს სსრ კავშირის თასი არ ჰყოფნიდა.


სწორედ ამიტომ იყო, რომ იგი განსაკუთრებული თავგამოდებით იბრძოდა წინასწარი შეხვედრიდან ბოლომდე. ფინალში მან აშკარად დაჯანა ყველა მეტოქე და მხოლოდ ერთი შეხვედრადარა მსოფლიო ექს-ჩემპიონ ვ. გოროხოვასთან. როცა ნიკონოვა და გოროხოვა ერთმანეთს პირისპირ დადგნენ, ამ უკანასკნელს უკვე ერთი წუთიცა ჰქონდა. საკმარისი იყო ელენეს მოვეო ეს ბრძოლა და თასიც მისი იქნებოდა, წაგების შემთხვევაში კი ნიკონოვა მხოლოდ დამატებით შეხვედრაში გაარკვევდა ურთიერთობას გოროხოვასთან.

შეხვედრა გოროხოვას ელვისებური შეტევით დაიწყო, იგი თითქმის ყოველთვის აღწევდა მიზანს და იოლადაც გამარჯვდა. მისი უპირატესობა დამატებით ბრძოლაშიც აშკარა იყო. გოროხოვამ შედარებით მკაფად დაისაკუთრა თასი.


ასპარეზობა კარგად დაიწყო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა, სპორტის ოსტატმა მ. კობრეიტემ. მან სამი შეხვედრა მოიგო, მაგრამ შემდეგ დამარცხდა და შეჯიბრებას გამოეთიშა. მოგვყავს პირველი ექვსეული: 1. ვ. გოროხოვა (მოსკოვი), 2. ვ. ნიკონოვა (ბელორუსია), 3. ლ. ნიკონოვა (რუსურ), 4. ტ. სამუნგო (ბელორუსია), 5. ა. ნაზიმოვა (მოსკოვი), ნ. ო. კობრეიტე (რუსურ). დღეს საფარაკაო ბილიეზე რაპირისტი ვაჭები გამოვლენ.

ა. გოგალია, სპორტის ოსტატი.

გ ა რ ი კ ა ო ბ ა




◆ ჩარნოვი, 18 თებერვალი. აქ დამთავრდა სამამულო ომის გმირი ტანცისტის პ. ნიკიტინის მემორიალი თავისუფალ ჭილაობაში. შეჯიბრებაში, რომელშიც დიდი ინტერესი გამოიწვია, ახალგაზრდა ათლეტები მონაწილეობდნენ. დამამულო ჭილილის შემდეგ თასი ლატვიელებმა მოიპოვეს.



სულ მალე ქუთაისელი სპორტსმენები კარგ საჩუქარს მიიღებენ — მწყობრში ჩადგება „განთიადის“ ახალი საცურაო აუზი. ბაზა კოოპერირებულ საწყისებზე აიგო. მშენებლობაში დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს პროფსაბჭომ, კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა და აღმასკომმა, ამ ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა. ახალ აუზს სამი აბაზანა აქვს — ცურვისთვის (50x25 მ), წყალში ხტომისთვის (25x20) და სასწავლო (10x25). აქ გამართულ შეჯიბრებებს ერთდროულად 8000 კაცმა შეიძლება ადევნოს თვალი. აუზში მოწყობილია წყლის გაბობა და განათება. ახალი ბაზა ერთ-ერთი საუკეთესოა საბჭოთა კავშირში. აქ თამაშად შეიძლება ჩატარდეს საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებები. აუზის საზეიმო გახსნა მარტის პირველ რიცხვებშია განზრახული.


ფოტო მ. ზარგარიანისა. (ჩვენი სპეც. კორ.).



მარცხა განის გუნდი. III ადგილი დაისაკუთრა არაბეთის გავრთიანებული რესპუბლიკის ნაკრებმა, რომელმაც სძლია სპალის ძელის ნაპირის გუნდს — 3:1.

◆ შტრბსკა-პალესო, 18 თებერვალი. 10 კილომეტრზე ქალთა სათხილამურო რბოლაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა გორკელი ა. ოლიუნინა. გამარჯვებულის დროა 36.19,00. II ადგილი დაიკავა ფინელმა მ. კაიოსმამ — 36.40,85. III — 5 კილომეტრზე რბოლაში მსოფლიო ჩემპიონმა, იუვესკელმა გ. კულაკოვამ — 37.06,04. მოსკოველი ვ. პილიუშენკო VI ადგილზეა, ბოლო ტარტუელი ი. მიაგარი — VIII.

20 თებერვალს ცენტრალურ საბავრბაო კლუბში (რუსთაველის პრ. № 48) შედგება სპორტული ნაგავობაის ხელმძღვანელთა რესპუბლიკური თათბირი. დასაწყისი 12 ს. საპარტეზლოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი.



კოსვაგორა კვლავ ხშიანობს

ბაქარბანი წლებულს ბევრ შეჯიბრებას მასპინძლობდა. აქ გათამაშდა და სსრ კავშირის თანები ტრამპლინიდან ხტომასა და რბოლებში, რომლებშიც მსოფლიო ჩემპიონატის საჭურები გახდა. აქვე გაიმართა საქართველოს ზამთრის III სპარტაკიადა... მოსწავლეთა და სტუდენტთა არდადეგების პერიოდში ბაკურიანი სათხილამურო სპორტის ათეულ ათასობით მოყვარულს მოემსახურა. ახლა კი კოსტავორას ფერდობებზე, მუხერისა და იგორას ველზე, პარკში ერთგვარმა სიწყნარემ დაისადგურა... ცოტა ხნით, ბაკურიანში შესანიშნავი ამინდია, თოვლის ნაკლებობასაც არ უჩივიან, ამიტომაც სამთოსათხილამურო სპორტში წლებვანდელი საკავშირო პირველობისთვის სამზადისის ცენტრად სწორედ საქართველოს ეს „თეთრი მარგალიტი“ არჩიეს — კოსტავორა კვლავ ხშიანობს. ეს ურბამული თანდათან იმეტებს, ვინაიდან ქვეყნის ჩემპიონატი ტერსკოლიდან სწორედ ბაკურიანში გადმოიტანეს.

სურათებზე: ზევით — სპორტსმენები საბავირო გზით კოსტავორის წვერისკენ მიემართებიან; ქვევით — რბოლება საქართველოს ზამთრის სპარტაკიადის სამჯგის მეორე პრიზიორი, ფიზკულტურის ინსტიტუტის მესამეურსელი იავო ნასყიდაშვილი ასპარეზობისას. ტექსტი და ფოტო ო. გელაშვილისა. (ჩვენი სპეც. კორ.)

